პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა (ქართული ქეისი)

ლალი სურმანიძე[1]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

კოგნიტურ ფსიქოანთროპოლოგიურ თეორიულ-კონცეპტუალურ ბაზაზე დაყრდნობით წარმოდგენილია პიროვნული თვისებების კულტურული მოდელების კვლევა. პიროვნული თვისებები განხილულია კულტურულ პრაქტიკასთან ურთიერთქმედებით ფორმირებულ საზიარო კულტურულ გამოცდილებად, რომელიც ფსიქიკაში რეპრეზენტირებულია კულტურული მოდელების (სქემების) სახით. კვლევა ჩატარდა 25-45 წ.წ. ასაკის ქართულენოვან 50 ადამიანზე ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკის და ინტერვიუს მეთოდებით. კვლევის მასალად გამოყენებული იქნა 200 ქართული ხალხური იდიომა. კვლევის შედეგად ფორმირებული სემანტიკური სივრცე ასახავს იდიომათა სემანტიკური კავშირების სტრუქტურას, ხოლო ინტერვიუს მეთოდით გამოვლინდა კვლევის მონაწილეების არგუმენტაციები სემანტიკური დაჯგუფებების თაობაზე, რაშიც წამყვანი როლი ენიჭებოდა აფექტურ იმპლიკაციებს (გრძნობებს), პერცეფტულ იმპლიკაციებს (მოსაზრებებს კატეგორიებში გაერთიანებული ელემენტების მსგავსების შესახებ) და კოგნიტურ იმპლიკაციებს (კატეგორიების სახელდებას). ექსპერიმენტული და ინტერვიუს მონაცემები ინტერპრეტირდა სინთეზურად. სტატიაში წარმოდგენილია 3 პიროვნული თვისების – აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა – ანალიზი; თვისებები და მათი კომპონენტები ინტერპრეტირებულია კულტურულ-სპეციფიკურ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: *კოგნიტური ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, კულტურული მოდელი, ფოლკლორი, მეტაფორა, პიროვნული თვისებები, სინთეზური მეთოდოლოგია*

შესავალი

1950-იანი წლების კოგნიტურმა რევოლუციამ „ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში გონება დააბრუნა“ და, იმავდროულად, ნიადაგი მოამზადა ანთროპოლოგიის კოგნიტურ მეცნიერებასთან დაკავშირებისთვის (Miller, 2003). თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კოგნიტივისტური მიმართულება ეფუძნება როგორც კოგნიტური ანთროპოლოგიის, ისე კოგნიტური ფსიქოლოგიის დაშვებებს, ამასთან, წინა პლანზე წამოწეულია კულტურასა და ადამიანის მენტალურ სტრუქტურებს შორის კავშირი (D'Andrade, 1992; Dressler et al., 2017; shore, 1996; Strauss & Quinn, 1997). ამ მიმართულებაში კულტურა მოიაზრება საზიარო კულტურული გამოცდილების საფუძველზე ფორმირებულ დაშვებათა ერთობლიობად, რომელიც ორგანიზებულია სქემებით.[2]

---

[1] **პასუხისმგებელი ავტორი:**
ლალი სურმანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი
lali.surmanidze@tsu.ge

[2] ნაომი ქვინისა და კლაუდია სტრაუსის განმარტებით, კულტურა – ეს არის ინდივიდების განმეორებადი გამოცდილებების, მათ საფუძველზე ფორმირებული გაზიარებული სქემებისა და ამ სქემებისა და გარე სამყაროს შორის ინტერაქციების ერთობლიობა (Chkhaidze, 2021).

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კოგნიტივისტურ მიმართულებაში კულტურული სქემა, ანუ კულტურული მოდელი[1] კულტურული გამოცდილებით ფორმირებულ მენტალურ სტრუქტურად განიხილება – მიიჩნევა, რომ კულტურაში მსგავსი გამოცდილების მიმღებ ადამიანთა ჯგუფს სქემებიც მსგავსი (საზიარო) უნდა უყალიბდებოდეს. თავის მხრივ, ისინი ასახულია კულტურული სამყაროს გამოცდილებაშიც. ნაომი ქვინის აღნიშვნით, ამგვარ სქემებს ადამიანები იყენებენ მოლოდინების, მსჯელობების ფორმირებისა თუ სხვა ყოველდღიური საქმიანობისას (Quinn, 2005). ცხადია, რომ კონკრეტულ კულტურას მრავალი გამოცდილებისეული ფენომენის შესაბამისი მოდელები აქვს. კულტურულ სქემებსა და მათ მენტალურ რეპრეზენტაციებს კოგნიტური ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება – კულტურული მოდელების სკოლა შეისწავლის (Bennardo & Munck, 2014; Blount, 2011; Quinn, 2011).

კულტურასა და ადამიანის მენტალურ პროცესებს შორის კავშირის კვლევის კონტექსტში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა კულტურული სიბრძნის შესწავლა, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია კულტურის ადაპტაციური პროცესების შესწავლასთან, რამდენადაც მთელი ისტორიის მანძილზე შენარჩუნებულ კულტურულ პრაქტიკებს, როგორც წესი, ევოლუციური წვლილი შეაქვს სოციალური ჯგუფებისთვის სარგებლის მოტანით.

კოგნიტური პროცესებით კულტურა ოპერირებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე.[2] კოლექტიურ დონეზე კულტურა აფორმირებს ურთიერთობას და სოციალურ ურთიერთქმედებას, ტაბუირების თემებს, ემოციების გამოხატვის ფორმას, ურთიერთობის სტილს და ა.შ. (Gudykunst & Kim, 2002; Matsumoto et al., 2008; Triandis, 1994); განსხვავებები რისკებთან დაკავშირებულ კულტურულ ნორმებს შორის, შესაძლოა, განპირობებული იყოს განსხვავებული ეკოლოგიური პირობებით, რაც, თავის მხრივ, კავშირშია ადაპტაციურ პროცესებთან (Chen et al., 1995); თხრობის კულტურული პრაქტიკა სოციალიზაციის მძლავრ მექანიზმად მიიჩნევა, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით კულტურულ ჯგუფებს შთამომავლობით გადაეცემა ცოდნა და ინფორმაცია, რომლებიც ჯგუფს გადარჩენის შანსებს უზრდის (Lancy, 2008).

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები

პიროვნული თვისებების თეორიული მიდგომა პიროვნების ფსიქოლოგიის გავლენიანი თეორიულ-კვლევითი ნაწილია. არტურ რებერი პიროვნულ თვისებებს განმარტავს, როგორც გარკვეულ ჰიპოთეტურ ბაზისურ ან პიროვნულ მახასიათებელს, რომელიც, პრინციპში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ქცევის სტაბილურობისა და

---

[1] თანამედროვე ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში ტერმინები „სქემა“ და „მოდელი“ სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება (D'Andrade, 1995).

[2] კვლევების თანახმად, ინდივიდუალურ დონეზე, დასავლური კულტურები, აღქმის პროცესში, როგორც წესი, ფოკუსირდებიან ცალკეულ ობიექტებსა და მათ თავისებურებებზე, განსხვავებით აღმოსავლური კულტურებისგან, რომლებიც, დიდი ალბათობით, აღქმაში მთლიანობით მიდგომას ეყრდნობიან (Nisbett, 2004); კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლები, ინდივიდუალისტური კულტურის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, უკეთ იმახსოვრებენ სოციალურ ინფორმაციას (Wang et al., 2002). დადასტურებულია, რომ მედიტაციის კულტურული პრაქტიკა აუმჯობესებს ყურადღებასა და კოგნიტურ კონტროლს (Brefczynski-Lewis et al., 2007).

თანმიმდევრულობის ასახსნელად, ან როგორც ინდივიდის ქცევის მოდელების, აღქმის, აზროვნების და ა.შ. მარტივ აღწერად ამხსნელი ინტენციის გარეშე (Reber, 1996). პიროვნების თეორიების ბაზისური დაშვების თანახმად, მოქმედების, გრძნობების თუ ფიქრების განხორციელების ალბათობის თვალსაზრისით, ადამიანის აღწერა შესაძლებელია იმიტომ, რომ ის მიდრეკილია გარკვეული სახით რეაგირებისკენ (Perwin & John, 2000). პიროვნული თვისებების მეშვეობით ქცევის პროგნოზირებასთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, რიჩარდ ნისბეტისა და ლი როსის თქმით, როგორც ჩანს, ადამიანთა უმრავლესობას, მათ შორის, პროფესიონალებსაც, ღრმად სჯერათ, რომ ამ საქმეში თვისებების ცოდნა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა (Nisbet & Ross, 2000). ადაპტაციურ პროცესებში პიროვნული თვისებების მნიშვნელოვანი როლის დამაჯერებელი დასაბუთება უკავშირდება სოციალური ბიოლოგების მიერ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გაჟღერებულ თვალსაზრისს. ამ კონცეფციის თანახმად, ისინი შეჭიდულია სოციუმში მოქმედ მარეგულირებელ სისტემებთან, მნიშვნელოვან ადაპტაციურ მექანიზმებთან, უძირითადესი ადაპტაციური სტრატეგიების ფორმირებასა და ფუნქციონირებასთან, აღწერს საზოგადოებაში პიროვნების სიმყარისა და წინსვლისთვის საჭირო უმნიშვნელოვანეს პიროვნულ ნიშნებს და მოიცავს ინფორმაციას „ჩვენი“ და „ჩვენი ჯგუფის“ კეთილდღეობისთვის არსებითი ინდივიდუალური განსხვავებების შესახებ (Macdonald, 1998; McCrae et al., 1998). სწორედ ამითაა განპირობებული პიროვნული თვისებების აღმწერი ტერმინოლოგიის არსებობა განსხვავებულ ენებში. პიროვნულ თვისებათა ე. წ. „დიდი ხუთეულის“[1] სტრუქტურის უნივერსალიზმის მიმართ მკვლევარ-ფსიქოლოგთა ღრმა რწმენის მიუხედავად, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის თვალსაზრისით, სხვადასხვა კულტურაში ენობრივ-სემანტიკური სტრუქტურების მსგავსება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ენობრივი სტრუქტურა ხალხის ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც ეკვივალენტურად ასახავს, ან იმას, რომ კონკრეტული პიროვნული თვისება (ან თვისებათა ერთობლიობა) სხვადასხვა კულტურაში იდენტურად არის გაგებული. მიიჩნევა, რომ ამ ტერმინოლოგიის ნაწილი მაინც, თუ ყველა არა, კულტურულად, ევოლუციურ-ადაპტაციური პროცესითაა განპირობებული და, სხვადასხვა ენაში ლინგვისტური ეკვივალენტების არსებობის მიუხედავად, სემანტიკურ ეკვივალენტს არ წარმოადგენს (Perwin & John, 2000). კვლევები ამყარებს ამ პოზიციას. მაგალითად, ფილიპინურ კულტურაში ხუთფაქტორიანი მოდელის ვერიფიკაციამ გამოავლინა პიროვნულ თავისებურებათა კულტურულ-სპე-

[1] მრავალი კვლევის შედეგად ბევრ ენაში დადასტურებული, პიროვნულ თვისებათა 5, მოგვიანებით, 6 კატეგორია. ამ, ე. წ. „დიდი ხუთეულის“ (ღიაობა, ექსტრავერსია, ნევროტიზმი, პატიოსნება, კეთილგანწყობა) სტრუქტურის უნივერსალურად განხილვას მხარს უჭერს გასხვავებულ ენებში ეკვივალენტური ტერმინების აღმოჩენა, სხვადასხვა კულტურაში პიროვნულ თვისებათა კლასიფიციკაციების მსგავსება, თავად სტრუქტურის უცვლელობა, ხუთივე ფაქტორის საკმაო სანდოობა/ვალიდურობა და შედარებით სტაბილურობა ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე (Perwin & John, 2000). თავის მხრივ, სკეპსისი „დიდი ხუთეულის“ სტრუქტურის უნივერსალიზმის მიმართ წინა პლანზე წამოწევს კულტურის ფაქტორის სრულ უგულებელყოფას: ხუთფაქტორიანი მოდელი იმ კულტურის მონაცემთა საფუძველზეა შექმნილი, რომლის მსოფლმხედველობა პიროვნებას მოიაზრებს ავტონომიურად, სხვებისგან გამოყოფილად მაშინ, როცა არსებობს საპირისპირო მსოფლმხედველობის კონტექსტში პიროვნების მიჯაჭვული მოდელიც (ე.წ. არადასავლურ, აგრეთვე, აღმოსავლურ კულტურებში. იხ. (Markus & Kitayama, 1991; Markus & Kitayama, 1998; Triandis, 1995).

ციფიკური ორგანიზაცია, რაც, მკვლევართა დასკვნით, „აზროვნების, გრძნობების, ქცევათა თანმიმდევრულობის ტენდენციებში კულტურულ-ინდივიდუალურ განსხვავებებს ასახავს“ (Church, 1987; Church & Lonner, 1998). ანგარიშგასაწევია ისიც, რომ პიროვნული თვისებები ცნობიერების კატეგორიალური სტრუქტურისთვის მაკლასიფიცირებელ ნიშნებადაც გვევლინება და, შესაბამისად, კოგნიტური პროცესების, მათ შორის, სოციალური პერცეპციის კულტურული განპირობებულობის ერთ-ერთ წყაროდაც. უეჭველია, რომ თვისებათა სემანტიკურ თავისებურებებში ასახულია ამ კულტურისთვის მისაღები ადამიანის ტიპის და, შესაბამისად, აღზრდის მოდელის ცენტრალური აქცენტებიც (Surmanidze, 2001, 2010).

ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში დამოკიდებულება პიროვნული თვისებების კვლევის მიმართ, ტრადიციულად, არაერთმნიშვნელოვანია. გეშტალტფსიქოლოგიის კვალდაკვალ, „კულტურა-პიროვნების“ სკოლის კონფიგურაციონისტულ მიმართულებაში (გასული საუკუნის 30-40-იანი წლები) თვისებები გაგებულია პიროვნების – კომპლექსური, „ორგანიზებული მთლიანობის“ ელემენტად (სწორედ ამიტომ განიხილებოდა კულტურა ამ მიმართულებაში პიროვნების ანალოგიით) (Bock, 1988); „კულტურა-პიროვნების სკოლის“ სხვა შტოს – ეროვნული ხასიათის მკვლევრებისთვის პიროვნული თვისებები განიხილება კულტურულ პატერნებთან ერთიანობაში: „ეროვნული ხასიათი წარმოადგენს საზოგადოების ზრდასრული წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელ, შედარებით მყარ პიროვნულ მახასიათებლებსა და პატერნებს“ (Inkeles & Levinson, 1969);

გრეგორი ბეიტსონი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ხასიათებს შორის განსხვავების აღწერისთვის ბინარული და ტრიადული პატერნების შესწავლას ანიჭებდა უპირატესობას (Bateson, 2000); ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლინგვისტი ედუარდ სეპირი კატეგორიულად უპირისპირდებოდა „თვისებების ფსიქოლოგიას“ და დაჟინებით, ხაზგასმით იყენებდა ტერმინებს – „პატერნი“, „ორგანიზაცია“, „კონფიგურაცია“ (Bock, 1988).

ამგვარად, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია იმთავითვე უპირისპირდებოდა პიროვნული თვისებების უნივერსალისტურ გაგებას და აქცენტს სვამდა მათ კონტექსტურ სპეციფიკაზე. კულტურულ სივრცეში მნიშვნელოვანი ადაპტაციური ფუნქციის გამო, პიროვნული თვისებები ამ სივრცის ორგანული პროდუქტია, მათ აქვთ კულტურული მნიშვნელობები, რომლებიც ფსიქიკაში რეპრეზენტირებულია კულტურული სქემების სახით, ისინი, თავის მხრივ, ეფუძნება ე.წ. ობიექტურ კულტურულ პროდუქციასთან (კულტურული ტექსტები, პრაქტიკა, დაწესებულებები) ურთიერთქმედებით ფორმირებულ საზიარო კულტურულ გამოცდილებას. ამ პოზიციიდან, პიროვნულ თვისებათა კულტურული მოდელები ასახავს შეფასების კულტურულ პრაქტიკას და, ამდენად, კულტურულ სიბრძნედაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ფოლკლორული წარმონაქმნები, როგორც კულტურული მოდელები

ფოლკლორი კულტურის განსაკუთრებით ძვირფასი საცავია და სამართლიანად მიიჩნევა კულტურულ სიბრძნედ. ფოლკლორული ცნობიერება ყოფაში, „მშობლიურ“ სოციოკულტურულ გარემოში აღმოაჩენს მზა მასალას განზოგადებისა და იდეოლო-

გიური შეფასებებისთვის. ამ თვალსაზრისით, ის რეფლექსირების ფუნქციასაც ასრულებს. ე. წ. მცირე ფოლკლორი (იდიომატური გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები) გაზიარებული კულტურული გამოცდილების ამსახველი ვერბალური ფორმულებია, რომლებსაც ბრედ შორი ლინგვისტურად კოდირებული მოდელების კატეგორიაში აერთიანებს. მისი თქმით, „ვერბალურ ფორმულებში მეტყველების უმაღლეს კონვენციურ ფორმაში ასახულია ტრადიციული სიბრძნე, სპეციალიზებული ცოდნა ან ტაქტიკები". ისინი არსებობს მზა სახით; წარმოადგენს ყველა მოსაუბრის მიერ დაუფლებულ ლინგვისტურ რესურსს; ავტომატიზებული საპასუხო ნიმუშებია; ამარტივებს საუბარს. ლინგვისტური ფორმებით ცოდნა უფრო დამაჯერებელი ხდება და „კულტურულ სიბრძნედ" წარმოჩინდება (shore, 1996). ჯეფრი უაიტის თვალსაზრისით, ლინგვისტური ფორმულები გამოცდილების გენერალიზებული მოდელებია და მათი ორგანიზაციის შესწავლის შესაძლებლობას წარმომქმნელ კულტურულ კონტექსტში მათი ღრმა ჩაწნულობა ქმნის. მაგალითად, ანდაზის ინტერპრეტაციისას ენის გამომყენებლის დასკვნა ყოველთვის გამომდინარეობს მოდელის გამოყენების კონტექსტიდან, შესაბამისად, ანდაზიდან დასკვნის გამოტანის პროცესი მისდევს საფუძველმდებარე გაზიარებული ცოდნის სტრუქტურას (White, 1987). ანდაზასთან დაკავშირებული ეს მოსაზრება შეიძლება განივრცოს საზოგადოდ ე. წ. მცირე ფოლკლორზეც, მათ შორის, იდიომატურ გამოთქმებზეც.[1] მიიჩნევა, რომ კულტურულ მოდელთან ვერბალური ფორმულებით გამოხატული მნიშვნელობის დაკავშირებაში განსაკუთრებულ როლს მეტაფორა ასრულებს.

მეტაფორა და კულტურული მოდელი

როგორც ცნობილია, „მეტაფორის არსი მდგომარეობს ერთი რიგის მოვლენების სხვა რიგის მოვლენათა ტერმინებით გააზრებასა და განცდაში" (Lakoff & Johnson, 1990). მეტაფორის კოგნიტური თეორიის ავტორებმა, ლინგვისტებმა ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა (1980) სქემის ინდიკატორებად პირველებმა გამოიყენეს მეტაფორების მეთოდი. მათი თვალსაზრისით, მეტაფორები, რომლებიც მსჭვალავს ადამიანის მთელ ცხოვრებას, თავს ავლენს არა მხოლოდ ენაში, არამედ აზროვნებასა და მოქმედებაშიც. ისინი გაუცნობიერებლად და, ძირითადად, ავტომატურად, გარკვეული სქემების შესაბამისად გამოიყენება. ლაკოფისა და ჯონსონის აზრით, მეტაფორა ქმნის კულტურულ მოდელს/სქემას (Lakoff & Johnson, 1990). მათგან განსხვავებით, თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ მეტაფორა კი არ ქმნის, არამედ ასახავს მათ საფუძველმდებარე კულტურულ სქემას (Strauss & Quinn, 1997). სქემის გამოსავლენად კლაუდია სტრაუსი და ნაომი ქვინი მეტაფორების კატეგორიზების მეთოდს მიმართავენ და ამგვარად გამოვლენილ კატეგორიებს ფართოდ გაზიარებულად მიიჩნევენ.

---

[1] მიჯნავენ ტერმინებს – „ფრაზეოლოგია" და „იდიომატიკა". აქ აღვნიშნავთ, რომ იდიომები მეტაფორას ეფუძნება და სათქმელს ამბობს „შეფარვით", არაპირდაპირ. ზოგჯერ მას „გაქვავებულ" მეტაფორადაც მოიხსენიებენ. იდიომი და იდიომატური გამოთქმა სინონიმური ტერმინებია (Akhaladze, 2022).

თავის დროზე ვილჰელმ ვუნდტი ხალხთა ფსიქოლოგიის შესასწავლად უპირატეს როლს ანიჭებდა აღმწერი მეცნიერებების – ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, ლინგვისტიკის მეთოდებს. ხალხთა ფსიქოლოგიის (კულტურული ფსიქოლოგიის) საკვლევად ფოლკლორს იგი ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ წყაროდ მიიჩნევდა (Wundt, 1998). ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიურ თუ ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევებში ამ მასალაზე დაფუძნებულ კვლევებს იშვიათად შეხვდებით. ცნობილია ფსიქოანთროპოლოგ ჯეფრი უაიტის კვლევა ანდაზებზე (White, 1987), ნაკვლევია რუსული იდიომატური გამოთქმების სემანტიკური სივრცე (Petrenko, 1988), არსებობს დ. ჩუბინიძის ადაპტაციური სტრატეგიების კვლევა ანდაზების გამოყენებით (Chubinidze, 2018), ასევე, ამ სტატიის ავტორის კვლევები, რომლებშიც ფოლკლორული იდიომატური გამოთქმები სტერეოტიპთა შესაფასებელ სკალებად იყო გამოყენებული (Surmanidze, 1993, 2010).

თანამედროვე კოგნიტურ ფსიქოანთროპოლოგიაში კულტურული მოდელის გამოსავლენად, ჩვეულებრივ, მიმართავენ ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული მეტაფორების ანალიზს (Chkhaidze, 2021; Chkhaidze et al., 2019). ამისგან განსხვავებით, წინამდებარე კვლევაში მასალად გამოყენებულ იქნა, ასე ვთქვათ, „ბუნებრივი“ მეტაფორები – ქართული ხალხური იდიომატური გამოთქმები (Sakhokia, 1979). ისინი შედარებით მყარი, ხანიერად არსებული ლინგვისტური წარმონაქმნებია, რომლებსაც კონკრეტული ენის მატარებლები დღესაც აქტიურად იყენებენ სწორედ იმიტომ, რომ მათში მოაზრებული მნიშვნელობები ფართოდ გაზიარებულ კულტურულ წარმოდგენა/შეხედულებებს ასახავს, რაც, თავის მხრივ, კულტურული მოდელის ძირითად ბაზისს წარმოადგენს. ჯ. ვაიტის აღნიშვნით, სწორედ მათ ეყრდნობა ადამიანი მნიშვნელობის კონსტრუირების დროს ვერბალური ფორმულებიდან დასკვნის გამოტანის პროცესში (White, 1987).[1]

კვლევის აღწერა

წინამდებარე სტატიაში ასახულია 2009-2010 წლებში ჩატარებული, გამოუქვეყნებელი კვლევის[2] მონაცემთა მეორადი ინტერპრეტაცია.

კვლევის **მიზანს** წარმოადგენდა პიროვნული თვისებების კულტურული მოდელების გამოვლენა ქართული ხალხური იდიომების ბაზაზე.

ამოცანები:

- ლექსიკონიდან ამორჩეული იდიომებიდან კვლევისთვის რელევანტური იდიომების შერჩევა;
- იდიომების კატეგორიალური სტრუქტურის დადგენა – სემანტიკური სივრცის აგება და დენდროგრამის ანალიზი;
- იდიომების კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლების (კვლევის მონაწილეთა მსჯელობების) სემანტიკური და დისკურსული ანალიზი;

---

[1] ადამიანის ვერბალური ქცევის აღმწერი იდიომები, უმეტესწილად, ნეგატიურ დისპოზიციებს გადმოსცემს და, ამგვარად, უარყოფის პრინციპით ამკვიდრებს სოციუმში მოქმედ ღირებულებებს. ამიტომაა, რომ ექსპერიმენტულ მასალაში, პოზიტიურთან შედარებით, ნეგატიური სემანტიკის მქონე იდიომური გამოთქმები ჭარბობს.

[2] ანალოგიური კვლევის ნაწილი ასახულია იხ. სურმანიძე ლ. 1993.

- გამოვლენილი თვისებების კომპონენტთა ანალიზი და ინტერპრეტაცია.

მეთოდოლოგია

კულტურულ სქემებსა და მათ მენტალურ რეპრეზენტაციებს შორის კავშირის შესწავლაში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულება მნიშვნელობების შესწავლაა.[1] მნიშვნელობა განიხილება მოცემულ მომენტში ობიექტის ან მოვლენის მიერ პიროვნებაში აღძრულ ინტერპრეტაციად, რომელიც გამთლიანებულად მოიაზრებს კოგნიტურ პროცესს – ობიექტისა თუ მოვლენის იდენტიფიკაციას, აგრეთვე, მის მიმართ არსებულ მოლოდინს, ემოციასა და მასზე საპასუხო რეაქციის განხორციელების მოტივაციას (Bennardo & Munck, 2014). გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის, სპეციალურად ამ ტიპის კვლევებისთვის დამუშავებული, ჰიბრიდული თუ მეთოდთა კომბინაციები. მეთოდებს, ძირითადად, 3 კატეგორიად აჯგუფებენ: ეთნოგრაფიული მონაცემები და მათი ანალიზის მეთოდები, ლინგვისტური მონაცემები და მათი ანალიზის მეთოდები, ექსპერიმენტული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები (Bennardo & Munck, 2014). კვლევით პრაქტიკაში განსხვავებულ მეთოდთა დაბალანსებული ან სინთეზური გამოყენებისკენ სწრაფვა გამოკვეთილი ტენდენციაა (Surmanidze, 2021).

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია პოზიტივისტური და ჰერმენევტიკული მიდგომების სინთეზური გამოყენების შემთხვევა. მეთოდოლოგიური სინთეზი მიღწეულია ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკური მეთოდისა და ინტერვიუს მეთოდებით მოპოვებული მონაცემების სინთეზური ანალიზით.

ამგვარად, მონაცემთა მოსაკრებად გამოყენებულ იქნა ორი ტიპის მეთოდი, ე.წ. „მკაცრი“ – ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტი[2] და ე.წ. რბილი – ინტერვიუ კვლევის მონაწილესთან. კვლევაში მონაწილეობდა 25-45 წლის ასაკის, ქართულენოვანი, 50 ადამიანი (28 ქალი, 22 მამაკაცი). კვლევა ჩატარდა კვლევის მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობით.

სტრატეგია, მეთოდები, პროცედურა

კვლევა ეყრდნობა ე. წ. ემიკურ კვლევით სტრატეგიას („შიგნიდან“), რომელიც დაფუძნებულია პრინციპზე: „შევხედოთ კულტურას მისივე მკვიდრის თვალით“.

---

[1] აღსანიშნავია, რომ ანთროპოლოგები კულტურის და „მნიშვნელობის“ ცნებებს ურთიერთშემნაცვლებლად იყენებენ (Bennardo & Munck, 2014).

[2] ფსიქოსემანტიკა – ფსიქოლინგვისტური კვლევითი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ტექსტის კვლევასა და ანალიზზე რეალურ სამეტყველო პროცესში. ექსპერიმენტული პროცედურების მეშვეობით ხდება სამეტყველო/სააზროვნო მოღვაწეობის რეალური ფორმების მოდელირება, კერძოდ, ადამიანის ან სოციალური ჯგუფის ცნობიერების მნიშვნელობათა სისტემის რეკონსტრუქცია. ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი სემანტიკური სივრცე ცნობიერების ოპერაციონალისტურ ანალოგიას წარმოადგენს და ასახავს საკვლევ სფეროს (ფსიქიკის ფრაგმენტს). სემანტიკური სივრცის აგება ეყრდნობა სხვადასხვა პირველად მეთოდს (მრავლობითი იდენტიფიკაცია, ასოციაციური ექსპერიმენტი, სკალირება, კლასიფიკაცია და სხვ.). კვლევის მონაცემები მუშავდება მულტიკომპონენტური სტატისტიკის მეთოდებით (Petrenko, 1988, 1997; Petrenko & Mitina, 2010).

ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტი – სემანტიკური სივრცის აგება. კვლევაში მიწოდებული იდიომების ბაზაზე მოხდა ცნობიერების კატეგორიალური სტრუქტურის რეკონსტრუირება და შესაბამისი სემანტიკური სივრცის აგება, რისთვისაც პირველად მეთოდად გამოყენებულ იქნა კლასიფიკაციის მეთოდი.

ექსპერიმენტის პროცედურა: კვლევის მონაწილეებს მიეწოდებოდათ დანომრილი 200 ბარათი, თითოეულზე ერთი იდიომატური გამონათქვამით. იდიომები ჯგუფდებოდა მნიშვნელობათა მსგავსების პრინციპით. დაჯგუფების პრინციპს (ჯგუფის რაოდენობას, შემადგენლობასა და მოცულობას) მონაწილე სურვილისამებრ ადგენდა. ექსპერიმენტი ტარდებოდა ინდივიდუალურად. ექსპერიმენტის ხანგრძლივობა – 40-45 წთ. მონაცემთა აღრიცხვა ხდებოდა სპეციალურ ბლანკზე.

ინტერვიუს პროცედურა: მნიშვნელობათა შესწავლისას კვლევის მონაწილის მიერ განხორციელებული აქტივობების ახსნა-განმარტება/დაზუსტება კვლევის ერთ-ერთი არსებითი მომენტია. ინტერვიუს საშუალებით კვლევის მონაწილეებისგან გროვდებოდა ინფორმაცია ექსპერიმენტის პროცესში მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ: ექსპერიმენტული პროცედურის დასრულებისთანავე ვთხოვდით მათ მიერ გამოყოფილი თითოეული ჯგუფის პირობით სახელდებას, კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლის – კლასიფიკაციის პრინციპის ფორმულირებას (შეძლებისდაგვარად), ყოველ ჯგუფში გაერთიანებულ იდიომებს შორის საერთოს (საზიარო მნიშვნელობის) იდენტიფიცირება/დახასიათებას. პროცედურა ტარდებოდა ინდივიდუალურად, აუდიო-ჩაწერით. ინტერვიუს ხანგრძლივობა – 25-30 წთ.

მონაცემთა დამუშავება და ინტერპრეტაცია

ექსპერიმენტით მოპოვებული მონაცემები დამუშავდა იერარქიული კლასტერანალიზის მეთოდით (მონაცემთა ანალიზის პროგრამის – SPSS 23-ის გამოყენებით) და აიგო დენდროგრამა (მრავალდონიანი „სემანტიკური ხე“ – სემანტიკური სივრცე). დენდროგრამა ეყრდნობა ობიექტთა წყვილების მსგავსებას ერთსა და იმავე კლასტერში მათი მოხვედრის სიხშირის საფუძველზე; დენდროგრამაზე სემანტიკური დაჯგუფებები ასახულია გამსხვილების კვალდაკვალ, დონეების შესაბამისად. დენდროგრამის გაშიფრვა-ანალიზი, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს დენდროგრამის ე.წ. შუა დონეზე, სადაც მკაფიოდაა გამოკვეთილი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი კლასტერული დაჯგუფებები და მათი სტრუქტურა. კონკრეტული კლასტერის შინაარსობრივ თავისებურებას ქმნის მისი შემადგენელი ქვეკლასტერები. ქვეკლასტერთა რაოდენობა კლასტერებში განსხვავებულია. კლასტერში თავმოყრილი იდიომების ერთიანობის საფუძველია იმპლიციტურად ნაგულისხმევი არსებითი ნიშანი/ნიშნები. ინტერპრეტაცია ამ ნიშანთა გამოვლენაზე წარიმართა.

თვისებრივი მონაცემების დამუშავება. ინტერვიუირების შედეგად მიღებული ტექსტების სისტემატიზება მოხდა „ანალიტიკური კოდირების პრინციპით“, რასაც მოჰყვა ტექსტის შემადგენელი ელემენტების თემატური კლასიფიკაცია და მონაცემთა კონტენტ-ანალიზი (Boehm, 2004). გამოყენებულ იქნა თვისებრივ მონაცემთა ანალი-

ზის პროგრამა – NVivo 10. ინტერპრეტაციისას აქტიურად ვეყრდნობოდით ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, ისტორიულ და სხვა მასალებს.

აღწერილ კვლევაში 200 იდიომატური გამოთქმის ბაზაზე გამოიყო 17, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი კლასტერული დაჯგუფება. შეზღუდული ფორმატის გამო, აღნიშნული კვლევის შედეგებიდან წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მხოლოდ სამი პიროვნული თვისების კულტურული მოდელის ანალიზი.

1. ***კლასტერი „აგრესია“.*** მოცემული კლასტერი 3 ქვეკლასტერს მოიცავს. კვლევის მონაწილეთა აღქმებსა და დეფინიციებში ექსპლიცირებულია აგრესიულობის სემანტიკური ბაზისი. დაჯგუფებათა რაციონალურ დასაბუთებებში კვლევის მონაწილენი გამოკვეთენ აგრესიის სხვადასხვა ფორმას:

   დ. რ. 29 წლის, მამაკაცი:
   „თავშეუკავებელი, იმპულსური ადამიანის ქცევაა,
   თორემ შეიძლება სხვისთვის ცუდი არც უნდოდეს“,

   პ.მ. 57 წლის, მამაკაცი:
   „ეს არის ძირგამომთხრელი საქმიანობა, მეორე ადამიანს, ფაქტობრივად,
   საყრდენს აცლის და ცხოვრებას ურთულებს და უფუჭებს,
   ბოროტი ადამიანის ქცევებია გამოხატული“

   ნ.ბ. 23 წლის, ქალი:
   „ეს ვიღაც მანიპულატორია, სხვა ადამიანს იყენებს
   თავისი საქმეებისთვის, ანგარება ამოძრავებს,
   ადამიანს ატყუებს, როგორც საგანს, ისე ექცევა,
   საერთოდ, პატივს არ სცემს.“

ამგვარად, კლასტერის შინაარსით რეპრეზენტირებულია აგრესიულობა. ეს კრიტერიუმი რამდენიმე კომპონენტით არის წარმოდგენილი.

ქვეკლასტერი ა: „კრიჭაში ჩადგომა“, „ეკლების ხმარა“, „ბოღმის გადმონთხევა“, „შხამის ნთხევა“, „ბრჭყალების გამოჩენა“, „პირიდან ცეცხლის ყრა“, „ცეცხლის თქმა“, „ენამწარეობა“, „მიზანში ამოღება“, „ანგარიშის გასწორება“, „ნაცარ-ტუტის ადენა“, „მუსრის გავლება“.

მოცემული ქვეკლასტერის შინაარსი უკიდურესი დაპირისპირების ამსახველ აგრესიას აღწერს. იდიომათა დიდი უმრავლესობა სიტუაციურ ვერბალურ აგრესიას ასახავს, თუმცა ამ იდიომების სემანტიკა, ადრესატის დაზარალებაზე უფრო მეტად, მოქმედი სუბიექტის განმუხტვას ემსახურება. ამასთან, ზოგიერთი მათგანი ტრადიციული ნორმატიული ტაქტიანობის დარღვევადაც შეიძლება იქნას განხილული. მაგალითად, იდიომა „ენამწარე“, რომლის სემანტიკაა მოურიდებლად უსიამოვნოს მთქმელი, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი იმპულსური ქმედებისკენაა მიდრეკილი, ქცევის რეალიზაციისას აგრესიის ექსპრესიული განმუხტვა ვერბალური ფორმით ნაკლებად ითვალისწინებს სიტუაციას თუ ინტერაქციის პარტნიორს, რაც გარკვეული ნორმატიული სტანდარტების ანგარიშგაუწევლობაზეც მიანიშნებს. ეს უკანასკნელი გამოთქმის პირდაპირ სემანტიკაში არ ჩანს. მაგრამ „ზრდილობის“ მენტალური ღირე-

ბულების კონტექსტი („ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა...“), რომელიც მხარს უჭერს ადამიანის მიმართ კეთილმოსურნეობა-კეთილგანწყობის გამოვლენას შესაბამისი სტანდარტების (ატრიბუტების) ცოდნითა და გამოყენების უნარით, „საუბრის დროს ზომიერების დაცვასაც“ (Javakhishvili, 1956) მოიაზრებს. ამ თვალსაზრისით „ენამწარეობა“ მოქმედი სუბიექტის მიერ ზომიერების სტანდარტის დარღვევას ავლენს, ამიტომ ასეთი ქცევითი დისპოზიცია, გარკვეული თვალსაზრისით, ზრდილობის დეფიციტსაც უნდა ნიშნავდეს. შესაბამისად, ხატოვანი გამოთქმა „ენამწარე“ ვერბალური აგრესიის გამომხატველია, მისი კონოტაცია ნორმატიული სტანდარტის დარღვევის ნეგატიურ იმპლიკაციასაც მოიცავს. ამ ქვეკლასტერში მხოლოდ სამი იდიომის შინაარსი – „მუსრის გავლება“, „ანგარიშის გასწორება“, „ნაცარ-ტუტის ადენა“- გამოკვეთს ქცევის ორიენტაციას, თუმცა მოცემულ ექსპრესიულ სემანტიკურ კონტექსტში ეს იდიომებიც უფრო ექსპრესიული და არა ქცევითი აქტივობის კონოტაციით იტვირთება. ამგვარად, მოცემული შინაარსობრივი ერთობლიობა ***ექსპრესიული აგრესიულობის*** კომპონენტად შეიძლება განვიხილოთ.

ქვეკლასტერი ბ: „ცეცხლზე ნავთის დასხმა“, „წყლის ამღვრევა“, „მტკივნეულ ადგილზე დაბიჯება“, „წიხლის დაჭერა“, „საფლავის გათხრა“, „ძირის გამოთხრა“, „გზაკვალის აბნევა“, „ბილიკების დახლართვა“, „ხახამშრალი დატოვება“, „მშრალზე დასმა“, „პირში ჩალის გამოვლება“, „თვალში ნაცრის შეყრა“, „პირში ბურთის ჩაჩრა“, „ცივი წყლის გადასხმა“, „ცივი უარის თქმა“, „ხელების დაბანა“, „აბუჩად აგდება“, „ფეხების მოჭმა“.

ეს ქვეკლასტერი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია და უკიდურესი აგრესიის აღმწერი ქცევითი დისპოზიციებით ტონს აძლევს მთლიანი კლასტერის სემანტიკას. სუბიექტის დამაზარალებელი ქცევითი დისპოზიციები მეტაფორულადაა აღწერილი. ძალის დემონსტრირებისთვის გამოყენებულია როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ქცევითი მოდელები. იდიომებით აღწერილი მიზნის მისაღწევი სტრატეგიები მიმართულია დამთრგუნველი სიტუაციებისა და დაძაბულობის შექმნაზე, ინტერაქციის პარტნიორის ღირსების ხელყოფაზე. ხაზგასასმელია, რომ მოქმედი სუბიექტი წინასწარ განზრახულად, მიზანმიმართულად, ცნობიერად ახორციელებს სხვა ადამიანის დამაზარალებელ ქცევებს და ეს ინტენცია მთელი კლასტერის შინაარსობრივი ერთიანობის დომინანტური თემაა. კლასტერს ასეც ეწოდა – ***დამაზარალებელი აგრესია.***

ქვეკლასტერი გ: „მღვრიე წყალში თევზის ჭერა“, „სხვისი ხელით ნარის გლეჯვა“, „პურმარილის დავიწყება“, „მოღორება“, „პურის წილ ქვის მიცემა“, „პირიდან ლუკმის გამოცლა“.

ამ ქვეკლასტერშიც დამაზარალებელი აგრესიაა აღწერილი, მხოლოდ ამჯერად, როგორც სემანტიკური ბაზისი, ექსპლიცირებულია სხვა ადამიანით მანიპულირებისა და ადამიანის დამაკნინებელი ქცევითი დისპოზიციები, ტრადიციული ღირებულებების უპატივცემულობა და ანგარებიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ანგარებიანი მიზნებით ადამიანით მანიპულირების დისპოზიცია ამ ქვეკლასტერის საყრდენი მნიშვნელობაა. ამ კომპონენტს განვიხილავთ, როგორც ***ინსტრუმენტულ აგრესიას.***

ამგვარად, კლასტერის შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე აგრესიის პიროვნული თვისების კულტურული მოდელის კომპონენტებად წარმოგვიდგება ექსპრესიუ-

ლი, დამაზარალებელი და ინსტრუმენტული აგრესია. ამ კომპონენტების შინაარსობრივი სპექტრი მრავალფეროვანია და მოიცავს ინტერაქციის პროცესების დამანგრეველ დისპოზიციებს, თუმცა იდიომები აგრესიის განსხვავებულ ინტენსივობას ასახავს და სემანტიკაში ნიუანსური თავისებურებები ახასიათებთ. მაგალითად, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ერთმნიშვნელოვანი ნეგატიური სემანტიკის მქონე იდიომატური გამოთქმები – „ცივი წყლის გადასხმა“, „ცივი უარის თქმა“ – პირდაპირი ფორმით ასახავს იმას, რომ აქტორი ინტერაქციის მეორე წევრისკენ შემხვედრ ნაბიჯებს არ დგამს, არ ცდილობს მის მხარდაჭერას, მაგრამ ამგვარი ქცევითი დისპოზიცია ამორალურობას არ გულისხმობს; ამავე კლასტერის სხვა იდიომები – „გზა-კვალის აბნევა“, „ბილიკების დახლართვა“- აღწერს განზრახვების შენიღბვის სტრატეგიას, თუმცა სხვისთვის ზიანის მიყენების გაზრახვას ან ანგარებიანობას ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს, მაგრამ მოცემულ უარყოფით კონტექსტში გამთიშველი და დამანგრეველი ტენდენციების ხელშემწყობ კონოტაციას და, შესაბამისად, ნეგატიურ დატვირთვას იძენს.

ამგვარად, აგრესიულობა რეპრეზენტირებულია შესაბამისი კოგნიტური, აფექტური და ქცევითი ორიენტაციებით. ქართულ კულტურულ ნორმატიულ სისტემაში, სადაც პრიორიტეტულია სოციალურ ჯგუფში ჰარმონიის შენარჩუნება, ოჯახური სიმჭიდროვე, ურთიერთპატივისცემა, ინტერპერსონალური ურთიერთობები რეფერენტული ჯგუფების ფარგლებში, აღნიშნული კრიტერიუმი ერთმნიშვნელოვნად მოიაზრება უარყოფითი კონოტაციის მატარებლად.

2. ***კლასტერი „ალტრუიზმი“.*** მოცემული კლასტერის იდიომები მეტაფორულად ასახავს ალტრუიზმის კულტურულ გაგებებს. აქ თავმოყრილი მნიშვნელობები ლოგიკურად ავსებენ ერთმანეთს, რასაც ადასტურებს კვლევის მონაწილეთა რაციონალური არგუმენტები მათ მიერ კატეგორიზებული ჯგუფის საფუძვლების შესახებ. მაგალითად:

ა.გ. 47 წლის, ქალი
„ადამიანები უნდა ეხმარებოდნენ ერთმანეთს,
რადგან ადამიანი ადამიანით ცოცხლობს
- მარტო არსებობა წარმოუდგენელია“.

თ. ნ. 25 წლის, მამაკაცი
„დღეს ბევრი რამ შეიცვალა,
მაგრამ მთავარი ისაა, რომ რაღაცის გამო კი არა,
არაფრის გამო, ისე, უბრალოდ გაუწოდო მეორე ადამიანს ხელი.“

აღნიშული კლასტერის სტრუქტურა 2 ქვეკლასტერითაა წარმოდგენილი და წარმოაჩენს სოციალური მხარდაჭერის, უანგარო ურთიერთდახმარების თემებს.

ქვეკლასტერი ა-ს შინაარსი ასახავს სხვა ადამიანის უანგაროდ დახმარების, მისთვის გაღების პოზიტიურ სემანტიკას („მტლად დადება“, „ხელის გამოღება“), რომელსაც სემანტიკურად უკავშირდება საერთო საქმის ერთგულების ღირებულება („საერთო უღლის ერთგულად წევა“, „თავის გადადება“, „თავის გადაგება“) .

ქვეკლასტერ ბ-ში გამოკვეთილია მხარდაჭერის მოტივები („გვერდში ამოდგომა“, „გზაზე დაყენება“, „ხელის გაწოდება“), ზოგიერთი ალტრუისტული ქცევითი მოდელი გააზრებულია ქრისტიანული რელიგიური ღირებულებების კონტექსტში, შესაბამისად, აღსაწერად გამოყენებულია რელიგიური ტერმინოლოგია („სულის ცხონება“, „მადლის მოსხმა“), აგრეთვე, კოლექტივისტური ორიენტაციის კულტურებისთვის ტიპური კულტურალური კონსტრუქტები, როგორიცაა „ნამუსი“ და „ხათრი“ (პირველი პატიოსნების მნიშვნელობით, მეორე – ანგარიშის გაწევის სემანტიკით – „ნამუსის შენახვა“, „ხათრის შენახვა“).

საინტერესოა, რომ მოცემულ კლასტერში ცალ-ცალკე დამოუკიდებლად შევიდა 2 ვერბალური ფორმულა: „პირში თქმა“ და „სინათლეზე გამოსვლა“. ფრაზეოლოგიზმი „პირში თქმა“, შესაძლოა, საკმაოდ უსიამო სათქმელსაც მოიაზრებდეს და ერთგვარი აგრესიის ნიუანსიც ჰქონდეს, მაგრამ მოცემული კლასტერის სემანტიკურ კონტექსტში აღიქმება სუბიექტის პატიოსნების, მისი დადებითი განზრახვების გამოვლენად და არა ვერბალურ აგრესიად. როგორც სჩანს, „პირში მთქმელის“ პირდაპირობის (გულწრფელობის) მოტივაცია უფრო ღირებულია, ვიდრე მაღალკონტექსტური კულტურებისთვის ანგარიშგასაწევი ფაქტორები – გამოთქმის ფორმა, სიტუაცია, მოსაუბრის პიროვნება და სხვ. ერთგვარი დაუნდობლობის მიუხედავად, როგორც ჩვენი კვლევიდან ჩანს, ეს იდიომა ვერბალური აგრესიის ამსახველ იდიომათა კატეგორიის აშკარა ოპოზიციაა (იხ. კლასტერი #1).

მთლიანი კლასტერი, ალტრუისტული ორიენტაციების აღმწერი, ფაქტობრივად, იკვრება ფრაზეოლოგიზმით – „სინათლეზე გამოსვლა“ – მხარდაჭერის საბოლოო მიზანი წარმატების მიღწევაში ხელშეწყობა და სოციალურ ცხოვრებაში ადამიანის აქტიური ჩართვა, ანუ „სინათლეზე გამოყვანაა“. უანგარობა ამ კლასტერის არსებითი სემანტიკური ღერძია. ამიტომ მას პირობითად ეწოდა „ალტრუიზმი“.

3. *კლასტერი „მლიქვნელობა“.* მოცემული კლასტერის შინაარსის აღსაწერად კვლევის მონაწილეთა ციტატებს მოვიშველიებ:

მ.ბ. 55 წ. ქალი

„ყველაზე ამაზრზენი ტიპია – ვიღაცას გუნდრუკს უკმევს,
ცხადია, გამორჩენის მიზნით, ნამდვილი გაიძვერაა“.

დ.ს. 25 წ. მამაკაცი

„მლიქვნელის ქცევებია, ასე ხალხი კარიერას იკეთებს“

პ.მ. 42 წ. ქალი

„ვიღაცის გულის მომადლიერება რატო უნდა გინდოდეს,
ალბათ, რაღაც გამორჩენას ელის.“
კლასტერის სტრუქტურას 3 ქვეკლასტერი ქმნის.

ქვეკლასტერ ა-ში 3 იდიომა გაერთიანდა: „კუდის ქნევა“, „ფეხების ლოკვა“, „მუცელზე ხოხვა“. იდიომები აღწერს ფიზიკურ ქცევებს ცხოველებისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით ან მოძრაობებით – კუდი, ლოკვა, ხოხვა. ამგვარად, მეტაფორულად ადამიანის ქცევა ცხოველის ანალოგიითაა აღწერილი. კლასტერის კონტექსტში ეს ქცევები ადამიანის ცხოველთან გამაიგივებელი ინვექტივების ასოციაციას აღ-

ძრავს („ძაღლი“, „ღორი“, „გველი“). შემთხვევითი არაა ჩვენი კვლევის მონაწილის მიერ ამ კლასტერთან დაკავშირებით სიტყვის – „ამაზრზენი“ გამოყენება. ცხოველებთან ანალოგია ამ იდიომებში ადამიანის ღირსების დამაკნინებელი დისპოზიციის – მლიქვნელობის ამსახველია. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეკლასტერი ა ტონს აძლევს მთლიან კლასტერს.

ქვეკლასტერი ბ-ს 3 იდიომა – „თავის მოქონვა“, „მოთაფლვა“, „საკმევლის კმევა“- აგრძელებს პირველი ქვეკლასტერის სემანტიკურ დომინანტას, ოღონდ მოვლით – „ადამიანური“, კერძოდ, ვერბალური საშუალებებით. ყველა იდიომის მნიშვნელობა მლიქვნელობის ნაირსახეობას – მაამებლობას გადმოსცემს.

ქვეკლასტერი გ: „პირიდან თაფლის დენა“, „გულის მომადლიერება“. ამ ქვეკლასტერის შინაარსით იმპლიციტურად მოიაზრება ვერბალური საშუალებებით ზემოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ აქ გაერთიანებული იდიომების კონტექსტისგარე, დამოუკიდებელი მნიშვნელობა უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი. კერძოდ, „პირიდან თაფლის დენა“, პირველ რიგში, სასიამოვნო საუბარს მოიაზრებს, ხოლო ტკბილმოუბრობის უნარი საქართველოში დადებით ღირებულებად იყო მიჩნეული, რამდენადაც ქართული კულტურა ტრადიციულად აღიარებს სიტყვის შთამაგონებელ უნარს და მიიჩნევს მას ძალის მქონედ წინააღმდეგობის დაძლევის გზაზე (რუსთაველის „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“; ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, აღზრდის პროცესში ტკბილსიტყვაობის მეთოდი აქტიურად გამოიყენებოდა (Javakhishvili, 1956). „გულის მომადლიერებაც“, ასევე, სხვა ადამიანის გულის მოგებას ნიშნავს, სემანტიკურად არაერთმნიშვნელოვანია და მის შეფასებას მოქმედი სუბიექტის ანგარებიანობა/უანგარობა უდევს საფუძვლად. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იდიომები – „პირიდან თაფლის დენა“, „გულის მომადლიერება„- უარყოფითი კონტექსტის ნაწილად გვევლინება. იმპლიციტურად ასეთი ქცევითი ტაქტიკა უნდა უკავშირდებოდეს უნდობლობას იდიომებში ასახული სტრატეგიის მარეალიზებელი სუბიექტის მიმართ. ტკბილმოუბრობა, ექსპლიციტურად აღიარებული დადებითი ღირებულების მიუხედავად, ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორც სჩანს, არც თუ იშვიათად, ასოციაციურად შეჭიდულია მკაფიოდ გამოხატულ, პირად ინტერესებზე ორიენტირებულ, ეგოცენტრულ, თაღლითი/გაიძვერას ფსიქოლოგიურ ტიპთან. უნდა აღინიშნოს, რომ გაიძვერობის სემანტიკურ ბაზისს წარმოადგენს ელასტიკურობა/მოქნილობა, რომელიც, თავისთავად, ქართულ კულტურაში პიროვნების თვისებათაგან ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ნიშანს წარმოადგენს (რასაც ადასტურებს რამდენიმე კვლევის მონაცემიც (Chubinidze, 2018; Surmanidze, 1993). თუმცა ეს უკანასკნელი კულტურაში, ჯერ ერთი, საკმაოდ ფართო დიაპაზონითაა წარმოდგენილი (მოქნილობიდან გაიძვერობამდე), მეორეც, თავად მოქნილობის კატეგორია უაღრესად პოლისემანტიკურია და მისი პოზიტიური/ნეგატიური დატვირთულობა პიროვნების საქმიანობის კონტექსტიდან გამომდინარეობს.[1]

[1] პიროვნების შეფასების კრიტერიუმები საზოგადოდ და მათი ორმაგი სემანტიკა ყალიბდებოდა ხანიერად კულტურულ პრაქტიკაში და გაჯერებულია წინა ეპოქების მსოფლმხედველობრივი ელემენტებით. იური ლოტმანის თვალსაზრისით, ასეთი წარმონაქმნები გასაგები ხდება შუასაუკუნეებში ჩამოყალიბებული უნივერსალური წყვილის – „ღირსება“/„დიდება“ – სემანტიკური სპეციფიკის გათვალისწინებით და მისი უმჭიდროესი კავშირით კატეგორიასთან

ამგვარად, წინამდებარე კლასტერი ასახავს მლიქვნელობის თვისებას, რომელიც წარმოდგენილია მლიქვნელობის და მაამებლობის კომპონენტებით, ამასთან, აქცენტირებულია და უპირატესობა ეძლევა ვერბალურ ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ ხუთფაქტორიანი მოდელის კულტურული ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილია არაერთი პიროვნული თვისება, რომელსაც სხვა კულტურაში შეიძლება სრულიად განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა ჰქონდეს, მიუხედავად ლინგვისტური ეკვივალენტის არსებობისა. მაგალითად, მლიქვნელობის თვისება, რომელიც, ჩვენი კვლევის თანახმად, აშკარად ნეგატიური კონოტაციის მატარებელია. რ. დიას-ლოვინგის კვლევის მონაცემებით, მექსიკურ კულტურაში დადებითი კონოტაციის მქონე შესაბამისი ტერმინებითაა წარმოდგენილი. მკვლევრის აღნიშვნით, ამგვარი ქცევითი სტილისთვის ბუნებრივი „მეტისმეტობა“ მექსიკაში სასურველ ინტერპერსონალურ თვისებადაც კი მიიჩნევა, რასაც ის ხსნის მექსიკურ კულტურაში პიროვნულ ურთიერთობათა და სოციალურ ჯგუფში უკონფლიქტო გარემოს მაღალი ღირებულებით (Díaz-Loving, 1998).

შეჯამება

წინამდებარე კვლევის თანახმად, აგრესიის თვისების კულტურული მოდელის კომპონენტებად წარმოგვიდგება ექსპრესიული, დამაზარალებელი და ინსტრუმენტული აგრესია; თვისების – „ალტრუიზმის“ სემანტიკური ღერძია უანგარობა, კვლევის კონტექსტში არსებით კომპონენტებად რეპრეზენტირებულია სოციალური მხარდაჭერის, უანგარო ურთიერთდახმარების თემები; თვისების -„მლიქვნელობა“- კულტურული მოდელის კომპონენტები რეპრეზენტირებულია ცხოველის ატრიბუტიკისა და ქცევითი დისპოზიციების ანალოგიით, გამოკვეთილია მრავალფეროვანი ვერბალური სპექტრის გამოყენებით, ანგარებიანი მიზნებით სხვა ადამიანზე ზემოქმედება ამ უკანასკნელის მერკანტილური მიზნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კულტურულ მოდელში, მლიქვნელობის ნეგატიური სემანტიკური დომინანტობის მიუხედავად, იდიომებით წარმოდგენილი სხვა კომპონენტები მოცემული კონტექსტის გარეთ შეიძლება ატარებდეს პოზიტიურ ან ნეიტრალურ კონოტაციას.

შექმნილი კატეგორიების ელემენტთა მსგავსების დასაბუთებაში წამყვანი როლი ენიჭებოდა აფექტურ იმპლიკაციებს (გრძნობებს), პერცეფტულ იმპლიკაციებს (მოსაზრებებს ჯგუფში გაერთიანებული ელემენტების მსგავსების შესახებ) და კოგნიტურ იმპლიკაციებს (კატეგორიების სახელდებას). ამგვარად, ზემოთ აღწერილი ყველა თვისება რეპრეზენტირებულია შესაბამისი კოგნიტური, აფექტური და ქცევითი კომპონენტებით.

კვლევით მიღებული შედეგები შესაბამისობაშია ქართული კულტურული სპეციფიკის შესახებ უკვე არსებული კვლევების მონაცემებთან, რომლებშიც განსხვავებუ-

„ღირებული/არაღირებული“. ქრისტიანულ კულტურებში ორგვარი მოდელით წარმოდგენილი „დიდების“ კატეგორია შესაბამისი დიქოტომიებით აღიწერება: ქრისტიანულ/საეკლესიო – დიქოტომიით „სამარადისო/მყისიერი“, საერო, ფეოდალურ/რაინდული კი დიქოტომიებით – დიდება/შერცხვენა, სახელოვანი/უსახელო, ხოტბა/დამდაბლება და ა.შ. (Lotman, 2002a, 2002b). ამგვარად, „ღირებული/არაღირებულის“ ატრიბუტი განისაზღვრება კულტურული კონტექსტით.

ლი მეთოდით, მხოლოდ ნაკლებ დეტალიზებულად და უფრო ფართო სემანტიკურ კონ-ტექსტში გამოვლენილია პიროვნების შეფასების კრიტერიუმები (Surmanidze, 1993), აგრეთვე, შესაბამისობაშია ქართული ადაპტაციური მოდელების კვლევის შედეგებ-თან (Chubinidze, 2018).

გამოყენებული ლიტერატურა:

Akhaladze, A. (2022). *Idiom expressions in Georgian and Turkish languages* [PhD status defending in Linguistics].

Bateson, Gr. (2000). *Ecology of the Mind*. Meaning.

Bennardo, G., & Munck, V. C. D. (2014). *Cultural Models: Genesis, Methods, and Experiences*. Oxford University Press.

Blount, B. G. (2011). A History of Cognitive Anthropology. In *A Companion to Cognitive Anthropology* (pp. 9–29). John Wiley & Sons, Ltd. https://doi.org/10.1002/9781444394931.ch1

Bock, P. K. (1988). *Rethinking psychological anthropology: Continuity and change in the study of human action* (pp. xii, 254). W H Freeman/Times Books/ Henry Holt & Co.

Boehm, A. (2004). Chapter 5.13 “Theoretical Coding: Text Analysis in Grounded Theory”. In *A Companion to Qualitative Research*.

Brefczynski-Lewis, J. A., Lutz, A., Schaefer, H. S., Levinson, D. B., & Davidson, R. J. (2007). Neural correlates of attentional expertise in long-term meditation practitioners. *Proceedings of the National Academy of Sciences*, *104*(27), 11483–11488. https://doi.org/10.1073/pnas.0606552104

Chen, C., Lee, S., & Stevenson, H. W. (1995). Response Style and Cross-Cultural Comparisons of Rating Scales Among East Asian and North American Students. *Psychological Science*, *6*(3), 170–175. https://doi.org/10.1111/j.1467-9280.1995.tb00327.x

Chkhaidze, T. (2021). *Fatalism – Georgian Cultural Model* [PhD status defending in Psychological Anthropology]. Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Chkhaidze, T., Chubinidze, D., & Gegenava, E. (2019). Fatalism – Georgian Cultural Model. *Prizren Social Science Journal*, *3*(3), 41–52.

Chubinidze, D. (2018). *Georgian proverbs and cultural models of adaptive behavior* [PhD status defending in Psychological Anthropology]. Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Church, A. T. (1987). Personality research in a non-Western culture: The Philippines. *Psychological Bulletin*, *102*(2), 272–292. https://doi.org/10.1037/0033-2909.102.2.272

Church, A. T., & Lonner, W. J. (1998). The Cross-Cultural Perspective in the Study of Personality: Rationale and Current Research. *Journal of Cross-Cultural Psychology*, *29*(1), 32–62. https://doi.org/10.1177/0022022198291003

D’Andrade, R. G. (1992). Schemas and motivation. In *Human motives and cultural models* (pp. 23–44). Cambridge University Press.

D’Andrade, R. G. (1995). *The Development of Cognitive Anthropology*. Cambridge University Press.

Díaz-Loving, R. (1998). Contributions of Mexican Ethnopsychology to the Resolution of the Etic-Emic Dilemma in Personality. *Journal of Cross-Cultural Psychology*. https://doi.org/10.1177/0022022198291006

Dressler, W., Balieiro, M., & Santos, J. (2017). Cultural Consonance in Life Goals and Depressive Symptoms in Urban Brazil. *Journal of Anthropological Research*, *73*, 43–65. https://doi.org/10.1086/690610

Gudykunst, W., & Kim, Y. Y. (2002). *Communicating With Strangers: An Approach to Intercultural Communication* (4th edition). McGraw-Hill Humanities/Social Sciences/Languages.

Inkeles, A., & Levinson, D. J. (1969). National character: The study of modal personality and sociocultural systems. In *The handbook of social psychology: Vol. 4(2)* (pp. 418–506).

Javakhishvili, Iv. (1956). Man in ancient Georgian writing. In *Issues of the Georgian language and writing*.

Lakoff, G., & Johnson, M. (1990). *Metaphors we live by/Metaphor theory*.

Lancy, D. F. (2008). *The Anthropology of Childhood: Cherubs, Chattel, Changelings* (1st edition). Cambridge University Press.

Lotman, Yu. M. (2002a). About the opposition “honor – Glory” in secular texts of the Kyiv period. In *Articles on the semiotics of culture and art* (pp. 439–455).

Lotman, Yu. M. (2002b). Again about the concepts’ honor – Glory. In *Articles on the semiotics of culture and art in in: Lotman* (pp. 456–465).

Markus, H., & Kitayama, S. (1991). Culture and the Self: Implications for Cognition, Emotion, and Motivation. *Psychological Review*, *98*, 224–253. https://doi.org/10.1037/0033-295X.98.2.224

Markus, H. R., & Kitayama, S. (1998). The Cultural Psychology of Personality. *Journal of Cross-Cultural Psychology*, *29*(1), 63–87. https://doi.org/10.1177/0022022198291004

Matsumoto, D., Yoo, S. H., Nakagawa, S., Alexandre, J., Unicapital, S., ˇo, S., Altarriba, J., Bauer, L., Granskaya, J., Grossi, E., De, F., André, S., Joshi, R., Mahmud, H., Mogaji, A., Sterkowicz, S., Wu, R., Drezgic, M., Pacaoan, S., & Ward, C. (2008). Culture, Emotion Regulation, and Adjustment. *Journal of Personality and Social Psychology*, *94*, 925–937. https://doi.org/10.1037/0022-3514.94.6.925

Miller, G. A. (2003). The cognitive revolution: A historical perspective. *Trends in Cognitive Sciences*, *7*(3), 141–144. https://doi.org/10.1016/S1364-6613(03)00029-9

Nisbet, R., & Ross, L. (2000). *Man and situation*. Aspect-Press.

Nisbett, R. (2004). *The Geography of Thought: How Asians and Westerners Think Differently... and Why*. Simon and Schuster.

Perwin, L., & John, O. (2000). *Personality psychology. Theory and Research*. Aspect-press.

Petrenko, V. F. (1988). *Psychosemantic consciousness*. MSU.

Petrenko, V. F. (1997). *Fundamentals of psychosemancy*. MSU.

Petrenko, V. F., & Mitina, O. V. (2010). Using psycho-semantic methods in political psychology. *Societal and Political Psychology International Review*.

Quinn, N. (Ed.). (2005). *Finding Culture in Talk*. Palgrave Macmillan US. https://doi.org/10.1007/978-1-137-05871-3

Quinn, N. (2011). The History of the Cultural Models School Reconsidered: A Paradigm Shift in Cognitive Anthropology. In *A Companion to Cognitive Anthropology* (pp. 30–46). John Wiley & Sons, Ltd. https://doi.org/10.1002/9781444394931.ch2

Reber, A. S. (1996). *Dictionary of Psychology, The Penguin: Second Edition* (Revised edition). Puffin.

Sakhokia, T. (1979). *Georgian iconic word-saying*. Merani.

shore, b. (1996). *Culture in Mind:cognition,culture & Problem of Meaning*. oxford University Press.

Strauss, C., & Quinn, N. (1997). *A Cognitive Theory of Cultural Meaning*. Cambridge University Press.

Surmanidze, L. (1993). *Experimental Studies of Georgian Mentality (on the Basis of Folk Idioms)* [PhD status defending in Psychology]. The Georgian National Academy of Sciences.

Surmanidze, L. (2001). *Individual and Collectivist Societies*. Nekeri.

Surmanidze, L. (2010). *Culture in Methodological Perspective*. Universali.

Surmanidze, L. (2021). Psychological Anthropology viewed from another flank. *Georgian Psychological Journal*, *2*(1), 207–225.

Triandis, H. C. (1994). *Culture and Social Behavior* (First Edition). McGraw-Hill College.

Triandis, H. C. (1995). *Individualism & collectivism* (pp. xv, 259). Westview Press.

Wang, Q., Nisbett, R. E., & Peng, K. (2002). Culture and working memory: A theoretical analysis. *Psychological Review*, *109(3)*, 465–488.

White, G. M. (1987). Proverbs and cultural models: An American psychology of problem solving. In *Cultural models in language and thought* (pp. 151–172). Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/CBO9780511607660.007

Wundt, V. (1998). *Problems of psychology of peoples*. Institute of Psychology of the Russian Academy of Sciences.